**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1891

## „ივერია“

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესასხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე; ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## სამეურნეო სკოლა ქუთაისში

(წერილი ქუთაისიდამ)

ეს რამდენიმე წელიწადია, ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში ის აზრი ტრიალებს და მუდამ დღე იზრდება, რომ თავი და თავი სახსარი ჩვენის დაქვეითებულის ყოფა-მდგომარეობის განსაკარგებლად სამეურნეო სწავლა-ცოდნაა. ამ რამდენისამე წლის განმავლობაში ამ საგნის შესახებ მრავალი წერილი დაბეჭდილა, მრავალი გრძნობით და აზრით სავსე სიტყვა წარმოთქმულა სხვა-და-სხვა საზოგადო კრებაზე—ბანკებისაზე, თუ თავად-აზნაურობაზე. ერთმა ჩვენმა მამულიშვილმა თავისის საფასით კიდევაც გაჰმართა სამეურნეო სკოლა და მით საყოველთაო ყურადღება და მადლობა დაიმსახურა მთელის ჩვენის საზოგადოებისა. მთავრობამაც ყური ათხოვა ამ ჩვენს საჭიროებას და, იმედია, რაკი მთავრობა და საზოგადოება ერთმანეთს მხარს მისცემენ, თვით საქმესაც სიცხოვლე დაეტყობა. მართალია, იმდენი ლაპარაკი ყოფილა სამეურნეო სწავლა-განათლების შესახებ ჩვენში, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ის სასიკეთო აზრი, რომ, თუ სამეურნეო სწავლა-ცოდნა არ მივიშველიეთ, ჩვენის ერის ნივთიერი და გონებრივი ზრდა და წარმატება დაქვეითებული იქნება, საქმედ ჯერ არა ქცეულა, და ჩვენი ერი დღესაც მოკლებულია სამეურნეო სკოლებსა. განა სამწუხარო არ არის, რომ ბუნებით საკმაოდ მიმადლებული ერი, რომელიც მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჰფლობს უხვსა და მდიდარს ქვეყანას, რომელიც მიწად-მოქმედობას მისდევს, მეურნეობით სულდგმულობს, მოკლებულია დროსა და ვითარების შესაფერს სწავლა-განათლების და ამიტომ ნივთიერად ხელ-მოკლეა და გონებრივად უკან ჩამორჩომილი.

ეს საუბარი იმ გარემოებამ მოგვაგონა, რომ ამ რამდენისამე ხნის განმავლობაში ერთი სამეურნეო სასწავლებელი უნდა გაიმართოს ქუთაისში. სამიოდე წლის წინად კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ განიზრახა სამეურნეო სკოლის გამართვა ესრედ წოდებულს ფერმაში. განყოფილებამ მიჰმართა სამეურნეო საზოგადოებას; ამანაც მცოდნე კაცი გამოგზავნა ფერმის დასათვალიერებლად და იმის გამოსარკვევად, თუ რა გვარი სამეურნეო სკოლა ეჭირვება ქუთაისის გუბერნიას. შემდეგ შეადგინეს წესდება სკოლისა და ხარჯთ-აღრიცხვა. სკოლა უნდა იყოს პირველ-დასაწყისის ხარისხისა, სამის წლის კურსით. ამ სკოლასთანავე უნდა იყოს გამართული ორი მოსამზადებელი კლასი საერო სკოლების პროგრამითა. სამეურნეო კლასებში უნდა ასწავლონ ყმაწვილებს საზოგადოდ პირველ-დასაწყისი მეურნეობა და კერძოდ იმ მცენარეთა გაჩენა-გაშენება, განკარგება და მოყვანა, რომელიც ქუთაისის გუბერნიაში ჰხარობს; აგრეთვე უნდა ასწავლონ მევენახობა და აბრეშუმის მოყვანა.

წესდების ძალით, ერთი მესამედი მოსწავლეთა თავად-აზნაურთა ყმაწვილები უნდა იყვნენ, ხოლო ორი მესამედი—გლეხთა ყმაწვილები; მაშასადამე ხარჯიც ამ ორ წოდებათა შორის უნდა განაწილდეს. სკოლის გამართვისა და მოწყობისათვის, როგორც სამეურნეო საზოგადოების განყოფილება საღურიცხავს, საჭიროა 27 ათასი მანეთი; ხოლო წლიურ ხარჯად—12,500 მან. მაშინდელმა გუბერნატორმა, აწ განსვენებულმა გროსმანმა სთხოვა უმაღლესს მთავრობას, რომ ორი მესამედი ხარჯისა საერო ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს ერთხანად 18 ათასი მანეთი და წლიურად 6 ათასი და ამ ნაირად ეგ ხარჯი შეაწერონ გლეხ-კაცებს და სავალდებულოდ გაჰხადონ. თავად-აზნაურობამ-კი უნდა გამოიღოს ერთხანად 9 ათასი მანეთი და წლიურად 3 ათასი. დანარჩენი 3500 მანეთის გაღება სამეურნეო საზოგადოების განყოფილებამ სთხოვა წლიურად სახელმწიფო ქონებათა მინისტრს. როცა ამ ხარჯის განაწილებაზე შეიქნა ლაპარაკი, სამეურნეო საზოგადოების განყოფილებამ მიჰმართა ბ-ნს გუბერნიის მარშალს და ნივთიერი შემწეობა სთხოვა თავად-აზნაურობის მხრით; ეგ სახთოვარი ბ-ნ გუბერნატორისა და სამეურნეო საზოგადოების განყოფილებისა თავისს დროზე მოხსენდა ბანკის საზოგადო კრებას და ამანაც დაადგინა ერთხანად მისცეს სკოლას 9 ათასი მანათი და წლიურად 3 ათასი. ქალაქ ქუთაისმაც დაუთმო მომამალს სკოლას ფერმა, რომელიც შეიცავს 98 ქცევა მიწას და 1940 ოთხ-კუთხ საჟენს. წესდების ძალით სკოლაში 70 პანსიონერი უნდა იყოს; ამათგან 45 თვით სკოლის ხარჯით, და 25 თავისს ხარჯით. მოსიარულე მოსწავლეთა რიცხვი განსაზღვრული არ არის.

ყოველივე, რაც ზემოდ მოხსენებული იყო, წარუდგინეს უმაღლესს მთავრობას პეტერბურგში და წელს, ჩვენდა სასიამოვნოდ, მოწონებულ დ შეწყნარებულ იქმნა; ხოლო მთავრობა თხოულობს, რომ თავად-აზნაურობამ ხვედრი ხარჯი სამუდამოდ იკისროს, ბანკის კრების გადაწყვეტილობა საბუთი არ არის იმისა, რომ ბანკი ყოველწლივ გაიღებს ხარჯსა, რადგანაც ბანკის წევრთა გადაწყვეტილებას ძალა მხოლოდ ერთის წლის განმავლობაში აქვსო. ამიტომაც მთავრობა სხვა გარანტიას თხოულობს იმისას, რომ თავად-აზნაურობა ხვედრს ხარჯს გაიღებს; პეტერბურგიდგან იუწყებიან, რომ თუ სამუდამოდ არ იკისრა ხარჯი თავად-აზნაურობამ, სკოლის გამართვა შეუძლებელიაო. ამის მიხედვით ბ-ნმა გუბერნიის მარშალმა საგანგებო კრება მოიწვია თავად-აზნაურთა ამ ენკენისთვის პირველ რიცხვებში. ამ კრებამ წყარო უნდა აღმოაჩინოს ხვედრის ფულის გამოსაღებად და მით მომავალი სკოლა უზრუნველ ჰყოს.

სრული იმედი გვაქვს, რომ თავად-აზნაურობა, რომელიც საკმაოდ გრძნობს თავისს ნივთიერს დაქვეითებას, რომელსაც მუდამ დღე ხელიდგან ეცლება მამა-პაპეული მამული, რადგანაც შესაფერი ცოდნა არა აქვს, რომ ადგილ-მამულს შესაფერად მოუაროს, საჭირო ხარჯს გაიღებს, თუნდაც ამისათვის ყოველ წლივ გარდასახადის გაწერა დასჭირდეს. საქმეც ის არის, რომ, თუ თავად-აზნაურობა ასე არ მოიქცა, სკოლაც არ გაიმართება და მთელი გურია იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სამეგრელო მოკლებული იქნება სამე-

# ფელეტონი

### საბრალო ნენე

(მოთხრობა)

I

გაჩქარებული კალოობაა. ყველას საბძლის გვერდით დადგმული ძნა ატუნჭულა, ყველას კალოები მოკრიალებულია, საბრალო ნენეს კალოს გარდა; მისი კალო ისევ მოსაკაბდოებელია, ჯერ არ მოუხოხიალებიათ, ნაგავ-ბალახ-ბულახით სავსეა. ნენეს შვილი ილო შეუძლოდ ჰყავს და იმას-კი ჰგონია, რომ ეს არის, შვილი ხელიდგან მეცლებაო. გამწარებული დარბის სოფელში, ეგების ფთილები დაასხმეინოს ვისმეს. აგერ, შეხვდა შუა ხანში შესული ტასია, წამოიყვანა ნენემ და მოუსვა ილოს გვერდით. ტასიამ სიტყვა გააბრტყელა:

— ეხლავ გაგიგებ, ჩემო ნათლიდედა, რის მიზეზიცა აქვს შენს ილოს. ტასიამ დაახვია ფთილები ჯარას ტარზე, მერე ეს ჯარას ტარი გასდო უსმელ ჯამით სავსე წყალზე და ზემოდგან სარკე დაახურა. ისე თავისი ავადმყოფობა არ აწუხებდა ილოს, როგორც ტასიას უთავბოლო ჯიჯინი. მალე ტასიამ ერთი მიზეზი გერისა გამოჰგვარა და ერთიც ლომისისა. ნენემ შეუთქვა ღამის თევა ორივე ხატსა. ილოს-კი სული ეხუთებოდა ამ ორის არა მკითხე მაცხონეთა უთავ-ბოლო ჯიჯინით.

ცბიერმა ტასიამ გაათავა ფთილების დასხმა და გაეშურა შინისკენ. გასვლის დროს გულ-მართალ ნენეს წასჩურჩულა:

— ე მკითხავი ხო ჩვენზედ ახლოა, და პატარა ხანს ჩავირბინოთ.

ნენემ თავის მეზობელ მართას გოგო, განო, მოუყენა წვრილფეხს და თვითონ გაეშურა მკითხავთან. სწორედ თავადის სადილობა იყო, როცა ტასია და ნენე გავიდნენ სოფლიდგან.

მივიდნენ მკითხავის კარზე. იქ ხალხის ბრბო დახვდათ. ტასია ნენეს ტუსტუსით გაუძღვა წინ. მკითხავი ბოსლის ოდაში იჯდა პატარა ჩულის ნაგლეჯზე. წინ ნატეხრით ცეცხლის ნაკვერჩხლები ედგა. რამდენიმე ჩალა სანთელი ეწყო ნატეხართან. გარდა ამისა, აქა-იქ გარშემო ათასნაირი ნაჭრები ეყარა. ამ ნიშნებზედ მკითხაობდა ჩვენი მკითხავი. სამიოდე მანდილოსანი მისულიყო და ყელ-მოღერებულები ისხდნენ ოდაში.

პირველის შეხედულობითვე მკითხავი შუათანა ხნისა მოსჩანდა. თეთრი მიტკლის ხალათი ცოტა არ იყოს თითქო ყმაწვილურს ფერსა სდებდა, მით უფრო, რომ თეთრი მიტკლისავე თავშალი ეხვია თავზე. მაგრამ ისიცკი უნდა ვსთქვათ, რომ პირისსახე ხელის ცემით ქადაგობისა და ჟინიანობის გამო შეშუპებული ჰქონდა ყვითლად. მისი პატარა ლურჯი ჩაცვივნული თვალები ეშმაკურად და თვალთ-მაქცურად გამოძვიბული გამოიყურებოდნენ ქერა წამწამების ქვეშიდგან...

ცოტა ხანმა განვლო და მკითხავმა თავის მიერ შეტყობილი მიზეზი ჩამოუთვალა ნენეს: ზოგან ცხვრით ღამის თევა დაუნიშნა, ზოგან კიდევ ავადმყოფის თეთრად შემოსვა დ ხატთან ხლება. როცა ყველაფერი გაუგო და შეატყობინა, მოჰხოცა ანთებულს სანთელს თავი და იქვე წყლით სავსე ჯამში ჩააგდო, თან ესეც დაატანა:

— აჰა, შე უბედურო, შესვი ე წყალი, შენც ელდასგან გულის ფრიალი გაქვს; ე წყალი გარგებს. ლომისაში რო წახვიდე, უღელი დაიდე! ი შენი შვილიც თეთრებით მიიყვანე სალოცავად...

ამ სიტყვით გამოისტუმრა მკითხავმა ნენე და ტასია. ნენეს არც გულის ფრიალი ჰქონდა და არც ლომისის მიზეზი, მაგრამ რაკი მკითხავმა უბრძანა, მეტი რაღა ჯანი იყო, იმის ნაბძანებს ვერ წაუვიდა და ძალაუნებურად დალია წყალი სანთლის ნამწვის ფერფლით არეული. როცა უკან დაბრუნდნენ, გზაზედ ტასია დარწმუნებით ეუბნებოდა ნენეს:

— რო გითხარი, გაიგებს-მეთქი, ემენდა, თუ არ გაგიგო რის მიზეზიცა აქვს შენს ილოსა! შენც, არ შეიძლება, გულის ფრიალი არა გქონდეს: როგორღაც ფერი ცუდი გადაგკრავს ხოლმე... ნენეს, თუმცა არც მკითხავისა და არც ტასიას სიტყვა არა სჯეროდა, მაგრამ მაინც თვითონაც არ იცოდა, რისთვის მისდევდა იმათ ნებას. ნელ-ნელა ჩვენმა დედაბრებმა საუბრით თავიანთ სოფლამდე მოაღწიეს. თამროს დარდით ავად გამხდარი ილო ცოტა მოხედვით დახვდა თავისს დედას. ტასიასაც ეს თითქო მეტად იამა და მაშინვე მოუთმენლად წასჩურჩულა ნენეს:

— აკი გეუბნებოდი! მანდერა ბიჭმა მოიხედა, რაკი ღამის თევა შეუთქვით.

ტასიამ დ ნენემ სანთლები ჩამოჰქნეს, შემოავლეს ილოს თავზედ და მერე დარბაზის დედა ბოძის თავში შეაწყვეს. თითქოს მკითხაობამ გასჭრა დ ძალა გამოიჩინაო: ილოს სიცხე გამოუნელდა, მაგრამ გული მძიმედა ჰქონდა, სიტყვის თქმა ეზარებოდა. საღამო ხანმაც მოატანა. ნახირი ბღავილით შემოვიდა სოფელში. ნენე წინ მიეგებ საქონელს და შემოაბინავა თავის ნიშა და გიშერა ხარი, ახლად მოგებული ძროხა, საფურე ხბოთი. ილოს საქონლის დარდი და ფიქრი არა ჰქონდა. მას სხვა ნაღველი გასჩენოდა. იგი გაშტერებული, დარდით მოცული გაიცქირებოდა იქვე პატარა ტყის გორაკისკენ, საიდამაც კაშკაში და მნათობი მთვარე ნახევრად ამოსულიყო და გარეშემო მიდამო საამურად გაენათებინა. ბულბულებმა იწყეს წყნარად და მწყობრად გალობა. შოშიებიც ხანდახან ბანს აძლევდნენ და თავიანთის სტვენით უფრო ლაზათსა და შნოს სდებდნენ ფრთოსანთა გალობას. ჭალებიდამ ბაყაყების ყიყინი გულს ჰზარავდა კაცს. ბერღელა, პატარა გიჟ-მაჟი მდინარე, ჩახრალაზე ჩამოჩხრიალებდა იქვე ილოს პატარა ბოსტანთან... მშვენიერს ბუნებას მომხიბლავი ძალა ჰქონია. ილოც გაიტაცა ზაფხულის ტურფასურათმა და სიყვარულით ატოკებული გული თანდათან უფრო ძლიერად უცემდა და ამ ფიქრთ ექიდებოდა.

— აჰ, ნეტაი ი გოგო-კი ჩემი წერა იყოს, და რაც უნდა მომივიდეს!.. სწორედ ანგელოზია ის დედ-მამა განათლებული...

როცა ილო ამ ოცნებით სტკბებოდა და იმის ნატვრას თითქო საზღვარი დაეკარგაო, დედამ გამოარკვია ოცნებით სავსე თავისი შვილი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურნეო სკოლას. მართალია, საზოგადოდ ჩვენი თავად-აზნაურობა ღარიბი და ხელ-მოკლეა, მაგრამ იმის იმედიც გვაქვს, რომ თავისის დაქვეითებულის ყოფა-მდგომარეობის განსაკარგებლად არ დაჰზოგავს თავისს წვლილს და ქვეყნისათვის სასიკეთო საქმეს თავ-გამოდებით დაეხმარება.

## ახალი ამბავი

*** მთავარ მართებელი კავკასიისა გენერალ-ადიუტანტი, კავალერიის გენერალი, ს. ა—ძე შერემეტევი წარსულს შაბათს ქალაქში დაბრუნდა.

*** ტფილისის პოლიცმეისტერი მასტიცკი წარსულ ხუთშაბათს დაბრუნდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

*** ალლუმზედ გამოწვეული ჯარები, შაბათს, მარიამობისთვის 31-ს, ტფილისს მოადგა და ქალაქს გარედ, ვერის მხარეს, „საბურთალო“-ზედ დაბანაკდა, რადგან დიდი ალლუმი, რომელიც უნდა გამართულიყო დიღმის მინდვრებზე, მთავრობის განკარგულებით მოიშალა.

გუშინ, ორშაბათს, დილა ადრიან ეს ჯარი ერთიან დაიძრა და ვერის მხრით ქალაქში შემოვიდა. აქ იყვნენ კავკასიის გრენადერის ყველა პოლკი ცხენოსანის ჯარითა და ზარბაზნების რაზმებიც. სადაც ახალი თეატრი შენდება, იმ ადგილიდამ დაწყებული ვერის ბოლომდე ქუჩების მარჯვენა მხარე დაიჭირა ამ ჯარებმა. საათის ცხრის ნახევარი იქნებოდა, ჯარების დასახედავად მოვიდა 1-ლ ბრიგადის უფროსი გენერალი თავ. ამირეჯიბი; შემდეგ მოვიდა მეორე ბრიგადის უფროსი გენერალი ჯანეევი და ბოლოს კავკასიის 1-ლ კორპუსის უფროსი, კავალერიის გენერალი თავ. ზაქ. გულ—ძე ჰავჰავაძე, რომელმაც მთელი ჯარი თავით-ბოლომდე დაათვალიერა და მიესალმა. იმის ბრძანებით ჯარი დაიძრა და მივიდა მთავარ-მართებლის სასახლემდე. აქედამ დაწყებული ჯარი გამწკრივებული იყო მთელს გოლოვინის პროსპექტზე, ვიდრე სამხედრო ოლქის სასამართლომდე. მეთერთმეტე საათზე სასახლიდამ გამობრძანდა მთავარ-მართებელი, გენერალ ადიუტანტი, გენერალი კავალერიისა, ს. ა—ძე შერემეტევი, მიესალმა მხედართ მთავრებს და მერე ჯარს დაჰხედა შემდეგ ისევ სასახლისაკენ დაბრუნდა და უბრძანა საცერემონიო მარშით ჩამოტარება ჯარისა. ჯარი ნახევარ-როტებად დარაზმეს და მთავარ-მართებლის წინ მარშით ჩაატარეს.

მთავარ-მართებელმა მადლობა გამოუცხადა ჯარს და უფროსებს ერთგულის სამსახურისათვის. დღეის შემდეგ ჯარი, რომელიც ჩამოსული იყო ქალაქში, ყველა თავთავიანთს საბინაო ადგილს წავლენ: მანგლისს, ალბულაღს, დედოფლის წყაროს და სხვ.

*** ჩვენის ქალაქის საბჭოს პირველი კრება მომავალ ორშაბათს, 9 ამ თვეს იქნება. ყველაზედ უპირველესად კრებას მოხსენდება ქალაქის სასანიტარო საქმეები: ყვავილითა და ხუნაგით ავადმყოფთათვის ცალკე შენობის აგება, სადეზინფექციო სადგომის აგება, ყვავილის ამცრელთა რიცხვის გაორკეცება და სხვ. როგორც გვითხრეს, ამავე კრებას მოხსენდება, თუ როგორ უნდა მოიხსენიოს ქალაქმა რუსეთის პოეტის ლერმონტოვის ორმოც-დაათის წლის გარდაცვალების დღე.

*** ყველა დაწესებულება, რომელიც საზაფხულოდ გასული იყო ქალაქს გარედ, ამ ჟამად ტფილისს დაბრუნდა.

*** გრ. ჩარკვიანს დაუბეჭდია თავ. მამია გურიელის მიერ ნათარგმნი პოემა რუსის პოეტის ლერმონტოვისა დემონი. წიგნაკი სუფთად დაბეჭდილია, შეიცავს 44 გვერდსა და ღირს სამი შაური.

*** მოკლე ხანში ტფილისში მოელიან უფროსს ინსპექტორს ინჟენერს გორბუნოვს, რომელმაც უნდა ჩვენი რკინის გზა დაათვალიეროს.

*** წარსულს ხუთშაბათს, ღამის მეათე საათზე, ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს ცა გაწითლდა: ყველა იმას ჰფიქრობდა, რომ მახათას მთის გადაღმა ალბად თივებს ცეცხლი გაუჩნდაო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცეცხლი სოფ. ნორიოს გაჩნდა და ბევრი სახლი სოფლელებისა სრულიად ნაცრად ექცია.

*** გუშინ, ამ თვის 2-ს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“-ს რედაქტორად ნამყოფის მ. უსპენსკის საქმე, რომელსაც ვიღაც კარტაზიანი ცილის წამებას აბრალებდა. სასამართლომ ბ-ნი უსპენსკი გაამართლა.

*** ბაქოდამ მოსულებმა გვიამბეს, რომ ამ ბოლოს დროს იქ დიდ-ძალი ყალბი ასმანეთიანია გავრცელებულიო. როგორც ამბობენ, რამდენისამე ათასის თუმნისა ტრიალებს ხალხში ას მანათიანი ყალბი ფულიო. ამ საქმეს შიდა რუსეთიდან ჩამოსულ ალაფებს აბრალებენ. ეს ვაჟბატონები ბლომად დატრიალებენ თურმე ბაქოსა და განჯის გუბერნიებში პურის საყიდლად და უმეცარს ხალხში ავრცელებენ ყალბ ქაღალდის ფულსაო. იმასაც ამბობენ, ვითომ ამ ფულების გამავრცელებლის კვალსაც მიაგნესო.

*** ღვინის მოსავალს ჩვენში წელს ჯერ-ჯერობით ყველგან კარგი პირი უჩანს და ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, თავისი გავლენაც იქონია ღვინის მაზანდაზე ჩვენს ქალაქში: ღვინო, რომელიც წინად თუნგი ოთხ აბაზათ და მანეთად იყიდებოდა, დღეს სირაჯხანაში სამ-აბაზად და სამ-აბაზ უზალთუნად შეიძლება იყიდოს კაცმა. ამას გარდა, ღვინოც ბლომად შემოვიდა ჩვენს ბაზარში.

*** ქალაქის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში წელს მიიღეს შემდეგი რიცხვი ყმაწვილებისა:

1-ლს კლასიკურს გიმნაზიაში მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილებაში 40 ყმაწვილი, მსურველი—97 იყო. I კლასში მიიღეს 21 ყმაწვილი და კანდიდატებად ირიცხება კიდევ 6 ყმაწვილი.

მე-2 კლასიკურს გიმნაზიაში უმცროსსა და უფროსს მოსამზადებელს კლასებში მიიღეს 97, მსურველი-კი იყო 215 ყმაწვილი.

კლასიკურს პროგიმნაზიაში უმცროსს მოსამზადებელს კლასში მიიღეს 20, I-ლს კლასში 31, 3-ს ვადა მისცეს დოკუმენტების მოტანისა, და 5 არ მიიღეს.

რეალურს სასწავლებელში შემსვლელთა რიცხვი წელს სულ 198 იყო, ხოლო მიიღეს 80 ყმაწვილი: მოსამზადებელს კლასში 41, პირველში—30, მეორეში—5, მესამეში—1, მეექვსეში—1 და მეშვიდეში—2. მომავალ 1891/92 წლისათვის ამ სასწავლებელში სულ იქნება 380 მოსწავლე, შარშანდელზე 40-ით უფრო მეტი.

ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში შემსვლელთა რიცხვი იყო: რუსი 20, სომეხი—32 და ქართველი—26, სულ 78; მიიღეს: რუსი—16, სომეხი—27 და ქართველი—21, სულ 64 ყმაწვილი. სომხების განყოფილებაში თავისუფალი ადგილი აღარ არის, ხოლო რუსებისა და ქართველების განყოფილებაში კიდევ შეუძლიათ მიიღონ 30-მდე ყმაწვილი. ამათ გამოცდისათვის ცალკე დღე იქნება დანიშნული.

საქალებო გიმნაზიაში შესასვლელად გაზაფხულშივე დაიჭირეს ზოგიერთებმა ეგზამენი, ამათგან 1-ლ კლასში ჩარიცხეს 12 ქალი, მეორეში—14 და მესამეში—7; ეხლა ხან დაიჭირეს კიდევ ეგზამენი და მიიღეს 1-ლს კლასში 19 ქალი. სულ რამდენია მიღებული ამ გიმნაზიაში, ჯერ არ ვიცით. ამას გარდა მერვე სპეციალურს კლასში შეუძლიათ ჩარიცხულ იქმნან ისინი, რომელთაც წელს ამავე გიმნაზიის მეშვიდე კლასი დაასრულეს: ესენი არიან 42 ქალი; ამათ გარდა 2 ქალი ქ-ნის სერპინეს გიმნაზიიდამ და 21 წმ. ნინოს სასწავლებლიდამ.

*** გზათა გამგეობამ კავკავის გზის შეკეთების შესახებ ცნობა მიიღო, რომ ამ გზით მოგზაურობა ადვილად შეიძლება ამ ჟამად, მხოლოდ გულეთის ხიდზედ ფეხით უნდა გადავიდნენ მოგზაურნი და ამ ადგილების მიდამოში შვიდის ვერსის მანძილზედ—ცხენითაო.

*** წარსულის მარიამობის თთვის განმავლობაში ქალაქის გამგეობასა და ქალაქის აუქციონისტებს, ამ უკანასკნელთა თანა დასწრებით გაყიდულის სხვა-და-სხვა ნივთისაგან შემოსულია 215 მან. და 76 კაპ.

*** მთავრობამ განიზრახა სამხედრო საჭიროებისათვის მკვიდრთა ცხენების აღწერა მთელს რუსეთის იმპერიაში. ამისათვის განსაკუთრებული კაცები იყვნენ გაგზავნილნი სხვა-და-სხვა მხარეს,—ჩვენში ბ-ნი ტროინიცკი, რომლის ზედამხედველობით ამ ხანად აღწერაშია ჩვენს ქალაქში ცხენები და ჯორები. ამ დღეებში ბ-ნს ტროინიცკის შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მოწერილობა

---

— შვილო ილო, გენაცვალოს დედა! ნელა-ნელა წამოდი, თუ კარგა ხარ, კალო მოვრწყათ. ეგება ზეგ შევაბათ. აგერ მთვარე მზესავითა სდგას, დღესეებ ღამეა. დარის დაკარგვა ცოდვაა...

დედა-შვილი ქვაბებით და ქოთნებით გაეშურნენ კალოს მოსარწყავად ჩახრიალასკენა. კარგა ხანს მოუნდნენ კალოს მორწყვას. ილო ისევ დაფიქრებული იყო და ხმას არ იღებდა. ნენე შვილს დაღონებას ამჩნევდა, მაგრამ მიზეზი ვერ ეკითხა. დედა ტკბილად ემუსაიფებოდა შვილს, უნდოდა გაერთო როგორმე, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან ილოს დარდი და ვარამი არ იცოდა. რომ სცოდნოდა, მაშინ არც იმის სურვილის წინააღმდეგი გახდებოდა; ოღონდ-კი კარგა ჰყოლოდა თავის ერთად ერთი ჭირისუფალი და ვინც უნდა მეენდომებინა შესართავად შვილს, ნენე არას დროს არ აუხირდებოდა. არც თუ თამრო იყო ამათგან დასაწუნი. მხოლოდ ის თუ დაუშლიდა, რომ აზნაურშვილის ქალი და გლეხი ილო საცოლქმროდ, ზოგი ერთობის აზრით, ვერ მოთავსდებოდნენ.

მთვარე სწორედ ჩასასვლელს იყო, რომ ილომ და ნენემ ბაკის კარი შემოაჭრიალეს. დედა-შვილნი დაქანცულები მიწვნენ ძარის ქვეშ სალთუმალზე. ილომ მიწოლის უმალ ერთი ღრმად ამოიოხრა. ეს ოხვრა ნენეს გულს მჭვალად ეცა და თავი მოაბრუნებინა.

— რად ამოიოხრე, შე დედა-მკვდარო, ეგრე ძილა? ჰა, გენაცვალე, შვილო, მითხარ, თუ არ გეზარება!

შვილმა ორის სიტყვით მოიშორა მოხუცი დედა:

— ჯერ ვერ გეტყვი, დედილო, მერე-კი გიამბობ ყველაფერს.

დედაც ხათრით აღარ ჩააცივდა. ნენემ ძილს თავი მისცა, მაგრამ ძილი-კი არ ეკარებოდა. ილოს ფიქრები უფრო აეშალა, თვალწინ წამოუდგა დავისი სატრფო თამრო და აღარა ჰშორდებოდა იმისი თეთრ-წითელი ლოყები და შავის თვალ-წარბით შემკული და ყარყარა ტანი.

### II

თამრო ღარიბი აზნაურის ქალი იყო, მამით ობოლი. ერთი საცოლო ძმა და სამი თავის მომდევნო და ჰყავდა. თამრო ილოს სოფელზედ ცოტა მოშორებით სცხოვრობდა, ეგრედ წოდებულს გორდი-ძირიანთ კარში. ილომ და თამრომ პირველ გაცნობაზედვე აღთქმა დასდეს, ყოველთვის ენახათ ერთმანეთი ჭალაში, რომელიც ცოტა სოფლის მოშორებით მდებარებდა.

ერთხელ ისინი მუხის ძირას ისხდნენ. იქვე ახლო პატარა წყარო ამოჩუხჩუხებდა დაბურულს შინდსა და თხილს ქვეშ. აწოწილი მუხა ამაყად დაჰყურებდა ნორჩს ბუჩქნარსა და თან ზარმაცულად არხევდა დახავსებულს ადამის ჟამის ტოტებსა. შინდსა და თხილს ერთმანეთისათვის ძმურად ტოტები გადაებათ, თითქოს ამ წუთისოფლის შემკულ ბუნებითა ჰხარობდნენ. სიყვარულით გატაცებული ილო სიამოვნებით უსმენდა გამოუცდელს თამროს ჭიკჭიკს. საუბრის შემდეგ თამრომ წყაროს ნაპირს ბორცვენას ფოთელი მოსყვიტა და გახურებული გული წყაროთი გაიგრილა. მერე-კი რაღაც ფიქრს მიეცა. ილო დააშტერდა იმის დიდრონს, შავსა და ჟუჟუნა მომხიბლავს თვალებს და რამდენსამე წუთს შემდეგ გულში მიიკრა ცქრიალა გოგონა. ახალგაზდანი საკმაო ხანს იყვნენ ჩაკონილნი შინდსა და თხილსავით...

— მაშ ეგრე, უნდა გავიპარნეთ და სხვა სოფელში დავიწეროთ ჯვარი, თორე აქ ჩვენ ჯვარის წერის ნებას არავინ მოგვცემს.

— სწორედ მაგრე უნდა მოვიქცეთ,—უპასუხა თამრომ—თორე ამოდენა ცემით მოსვენება აღარა მაქვს. წუხანდელი ღამე ჩემი ძმა ხანჯლით მადგა მოსაკლავად. დედაჩემი რო არა ყოფილიყო, წმინდად მომკლავდა...

დაბინდდა. ფრინველებმა დასჭყიპინეს თავზედ სატრფოებს. ისინიც გამოფხიზლდნენ, მოაგონდათ, რომ დრო იყო წასვლისა. პირველად ილო წამოდგა და თამროც წამოაყენა.

— წადი, გენაცვა, და კარგად იყავ, თავს გაუფთხილდი... მალე მოვახერხებ გაპარვას, ფიქრი ნუ გაქვს. ზეგ უფრო გადაწყვეტით მოვილაპარაკოთ.

გამოეთხოვნენ ერთმანეთს. თამრო მიდიოდა სახლისკენ, მაგრამ მუხლები-კი სწყდებოდა. იგი მეტად ამოჩემებული ჰყავდათ შინაურებსა, თუ გარეულებსა: ყველას სძულდა თამრო, ყველა იმას სწყევლიდა, გლეხის ბიჭი რად შეიყვარეო.

ილო ჯერ ნაღვლიანად მიდიოდა და როცა თავის ბაკში შევიდა, გული, ცოტა არ იყოს, გაუმხიარულდა, რადგანაც კიკოლა დაინახა. კიკოლა ნენეს ნათლი მამა გახლდათ და ძალიან უყვარდა ეს ოჯახი. ნათლიმამას არც ჩვენებური გადაკვრა სძულდა. კიკოლას ხასიათი იცოდა ნენემ, ამიტომ ხონჩით ვახშამი გამოუტანა და არყით უმასპინძლდებოდა. არყით შექეიფინებულმა კიკოლამ, დაინახა თუ არა ილო, შესძახა:

— ვინც მოვიდეს, გაუმარჯოს, კაი კაცი სუფრაზეო!

— ენაცვალოს დედაი! კაი კაცია, მაშ რა არის!—დაუკრა კვერი ნენემ.

სამივე ვახშამს შემოუსხდნენ. ნენემ ერთი კიდევ გაავსო წოწოლა ბოთლი და გამოიტანა დარბაზიდამ. იმის დანახვაზედ კიკოლამ უფრო მოიმხიარულა და დაიწყო:

— ერთი კაი გოგო მეგულება ილოსათვის, ზიარების მადლმა. სწორედ ნამდვილი სათქვენოა: კაი გამრჯელია, ის დედ-მამა განათლებული, ისა!...

ნენეს სიამოვნებისაგან სახე გაუბრწყინდა, მაგრამ ილოს-კი არ ეჭაშნიკა და ყური მოიყრუა...

კარგა მოტანებული იქნებოდა თავადის ვახშმობა, როდესაც კიკოლა ბაკის კარებიდგან ფარფატით გავიდა. დედაშვილნი დასაძინებლად მიწვნენ. ილოს მთელი ღამე თვალი არ დაუხუჭია; სულ იმას ჰფიქრობდა, როგორ წავიყვანო თამრო ისე, რომ მდევრები არ მომეწივნენო...

საბრალო იყო თამროს მდგომარეობაც. მივიდა თუ არა სახლში, ჯერ დედამ წაუთავაზა: „რას დაძრწი და დაწოწავ, რად არა გცხვენიანო.“ საღამოთი კიდევ ძმა მოვიდა სამკალიდამ და იმანაც მიჟღერა იფნის სახრით, დაჟეჟილი თამრო გახვეული ეგდო საბნის ძველაში, ტახტის ბოლოს, და საცოდავად ბზუკუნებდა მობღუნძული...

მესამე დღეს, სწორედ მზე ერთის შუბის ტარზე-ღა იქნებოდა ჩასასვლელად, ილო ჭალებისკენ გაეჩქარა. მივიდა და თამროც გამოჩნდა მუხის ძირას მიყუჟული.

— თამრო, ამ ორ დღეში უნდა გავიპარნეთ, თორე დედაჩემი ისეთია, ლამის გაგიჟდეს. ასე მეუბნება, იმის

მოუვიდა, რომ ამ საქმეს დაუჩქარეთ, რადგან მოკლე ხანში უმაღლეს მთავრობას უნდა მოვახსენოო.

ამის გამო ტფილისის გუბერნატორმა მისწერა საქალაქო და ყველა სამაზრო სამხედრო ბეგრის გამგეობათა ტფილისის გუბერნიაში, ზაქათლის ოლქის სამხედრო ცხენების ამწერ კომისიას, გუბერნიის ქალაქების ყველა პოლიცმეისტერს, მაზრის უფროსს და ზაქათლის ოლქის გამგებელს, რომ დ ა უ ყ ო ნ ე ბ ლ ი ვ წ ა რ მ ო მ ი გ ზ ა ვ ნ ე თ ცხენებისა და ჯორების შესახებ ცნობანი, რაც-კი შეჰკრიბეთ აქამდისაო.

ამ მიწერილობასთან ერთად დაბეჭდილი ბლანკებიც გაუგზავნა ბ-ნმა გუბერნატორმა. ამ ბლანკებში აღნიშნულია ყველა გვარი ცნობა, მხოლოდ რიცხვი-ღა უნდა ჩაიწეროს შიგ.

*** თიანეთი: ამ წინაზე თიანეთში შევესწარ შემდეგს ლაპარაკს: შარშან შემოდგომაზე, როდესაც აქ დაბანაკებული ჯარები აიყარა წასასვლელად, ერთს მეძროხეს, რომელიც თიანეთის გაღმა მათურელთ სოფელში სცხოვრობს, ამ ჯარების საბანაკო ადგილის ახლო-მახლო უპოვნია რაღაც ვერცხლისა და ოქროს ნივთები, ათთორმეტ თუმნად ღირებული. ეს ნაპოვნი ნივთები, როგორც ამბობდნენ, ქალის სამკაული იყო. ეჭვი არ არის, რომელისამე ჯარის უფროსის სახლობისა თუ იქნებოდა. ნაპოვნი ნივთები მეძროხეს, როგორც კანონი მოითხოვს, თიანეთის მამასახლისთან მიუტანია, მამასახლისს, პოლიციისთვის გამოუცხადებია და კიდეც გარდაუცია ნაპოვნი. მას აქედ თითქმის ერთი წელიწადია და ნივთების მპოვნელმა-კი ჯერაც არაფერი იცის, რა ღონე იღონა პოლიციამ ნაპოვნის ნივთების შესახებ: ამოუჩნდა პატრონი ნივთებს თუ არა?.. თუ მართლა პატრონი აღმოუჩნდა, კარგი იქნება პოლიციამ მპოვნელს თავისი ახი, საპოვნელა არ დაუკარგოს; ვგონებ, კანონით მესამედი მპოვნელისაა—მით უმეტეს, რომ ეს მეძროხე, როგორც ამბობდნენ, უდედმამოა, ობოლი, წვრილი და-ძმების პატრონი და მოჯამაგირეობით შოულობს დღიურ ლუკმას თავისს წვრილ და-ძმებისათვის... მოგეხსენებათ, ამისთანა კაცისათვის ორიოდე შაურიც ქონებაა.

*** ქიურდამირი: აგერ ერთი თვეა, რაც ბაქოში აუარებელი ხორბალი პურისა იგზავნება. მომეტებული ნაწილი პურისა განჯა და აჯიქაბულის შუა სადგურებიდამ მიდის. რუსეთის წლევანდელმა პურის მოუსავლობამ ადგილობრივ პურს ფასი დასდო. მართალია, წინად ჩარჩები ჩვეულებრივ ფასად, ასე ფუთს 50 კაპ. ჰყიდულობდნენ, მაგრამ მკვიდრთ შეიტყეს თუ არა აუარებელი პურის მოვაჭრეთ მოსვლა, თითონაც ფასი ასწიეს და დღეს ფუთი 80 კაპ.—1 მან. ფასობს. ამის მიუხედავად ყველა ზემოხსენებულ სადგურებზე ხორბლით სავსე ტომრების გორები სდგას... ყოველ დღე ასზე მეტი ვაგონი მიდის ბაქოში და მაინც კიდევ რკინის გზა ვერ აკმაყოფილებს ხორბლის მგზავნელთ მოთხოვნილებას და ხშირად ვაგონები არ არის თავის დროზე. ან-კი სად შეიძლება ათ ხუთმეტ სადგურზედ ყოველდღე 30 და 40 ვაგონი გამოულეველი იდგეს? პურის გადაზიდვას-კი ძალიან ეშურებიან, რადგან კასპის ზღვაზე სიარული დიდხანს აღარ გასტანს.

*** სოფ. არბო (გორის მაზრა): კვირას, 1 სექტემბერს აკურთხეს არბოს ახლად აშენებული ეკკლესია. ეს ეკკლესია დიდი ხანია შენდება და წელს ძლივს დასრულდა. საკურთხევლად მოწვეული იყო მისი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გორისა ალექსანდრე. ეკკლესიის კურთხევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, მით უმეტეს რომ კვირას დღეობაც იყო ეკკლესიისა, ესრედ წოდებული მესამე სწორი გერისთობისა.

*** სოფ. თიღვა (გორის მაზრა): თიღვის ძველის ტაძრის განახლებაც თითქმის დასრულდა. ამ ჟამად მზადდება გორში კანკელი. განახლებულის ეკკლესიის კურთხევას აპირობენ 17 ღვინობისთვეს, მოსაგონებლად იმ დღისა, როცა მათი უდიდებულესობანი სასწაულებრივ გადარჩნენ განსაცდელს.

*** ცხინვალი: აქეთ ვენახებს რიგიანად ასხია და კარგს რთველსაც მოელიან. ღვინო ძვირი არ არის. მოსავალი ურიგო არ იყო. პურს რიგიანი ფასი აქვს, თუმცა მუშტარი არა სჩანს. ქერი ძლიერ იაფია. ხილს ნაკლებად ასხია. ჩვენი ხიდი თუმცა გაამაგრეს, მაგრამ მაინც ზედ სიარული საშიშია. ურმებსა და ეკიპაჟებს შებმულს არ ატარებენ ზედ. უნდა გამოუშვათ საქონელი და ისე გაატაროთ ხელით. მოაჯირები არც ერთს მხარეს არა აქვს და თვით ფიცრები ბევრგან დამტვრეულია და ათასნაირად დაკონკებული.

*** რუისი (გორის მაზრა): მილდიუ, ანუ ვაზის ობი, ჩვენშიც გაჩნდა. ზოგიერთს ვენახებს უწამლეს აქ მთავრობის ხარჯით. ნაწამლი ვენახები ძალიან გაკეთებულებია: მათს გვერდზევე ისეთი ვენახებია, რომელსაც წამალი არ მიჰკარებია და ისეთს ყოფაშია, გეგონებათ, მოკრეფილიაო: ფოთოლგაყვითლებულ და ფოთოლ ჩამოცვივნულ ვაზებს აქა-იქ აბია მტევნები. გლეხ-კაცობა თვალ-და-თვალ დარწმუნდა, რომ ვაზის წამლობა ობის ასაცილებლად დიდად სასარგებლო საქმე ყოფილა.

*** გორი: 25 აგვისტოს, ზე დგერისთობა დღეს, მოჰკლეს ვიღაცა ბოროტ-მოქმედთ სოფ. ვანათში იქაური მამასახლისი. იმავე დღეს მოვიდა ამბავი, რომ სოფ. დვანში ერთმა ქართველმა დასჭრა მძიმედ ერთი ოსიო. დაჭრილის მოსარჩენად 26 აგვისტოს ცხინვალიდამ წაიყვანეს ჭრილობათა აქიმი, ჩვენებური დოსტაქარი ბ-ნი თურმანიძე.

*** 1 სექტემბერს, ნაშუადღევს 4 საათზე, თუმანოვის ქუჩაზე, ჯარის კაცად ნამყოფი ტიმოთე ვერიჟენკო სოფ. წევის მცხოვრებელს იოსებ გაჩეჩილაძეს წაეჩხუბა, მარჯვენა გვერდში აგური მოარტყა და ერთი ძვალი ჩაუმტვრია.

*** ამავე დღეს კირპიჩნის ქუჩაზე მეეტლე ლავრენტი ჯაფარიძემ ეტლი დააჯახა ბრონისლავ სედლინცკის 5 წლის ბავშვს და დააშავა. დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს.

## წვრილი ამბავი

ერთხანს პარნელი ირლანდიაში მოგზაურობდა რკინის გზით. როდესაც მატარებელი მიუახლოვდა გოლიგეჯს(?), რაღაცა მიზეზის გამო რელსებიდგან გადავარდა, მაგრამ დიდი უბედურება-კი არა მომხდარა-რა, მხოლოდ ერთი ვაგონი, რომელშიაც მგზავრთა ბარგი ელაგა, გადავარდა და დაზიანდა, სხვა ვაგონებს-კი არა დაშავებია-რა. კაცთაგანაც არავინ არც დაშავებულა და არც მომკვდარა. ამ ამბავს პარნელის მომხრეთ დიდი ყურადღება მიაქციეს: მათის აზრით, მატარებლის რელსებიდგან გადავარდნა პარნელის მტრების ამბავიაო.

— ერთის გაზეთის ანგარიშით პარიჟში ამ ჟამად სულ 1,998 ჟურნალ-გაზეთი გამოდის. შარშან-კი 187-ით ნაკლები ყოფილა. ამ გვარივე გამრავლება ჟურნალ-გაზეთებისა პარიჟის მაზრაშიაც თვალსჩინოა. შარშან გამოდიოდა სულ 3090, ხოლო წრეულს-კი გამოდის 3,189 ე. ი. ერთის წლის განმავლობაში თითქმის ასი კიდევ მიემატება. მომეტებული ნაწილი ამ მომატებულის ჟურნალ-გაზეთებისა უფრო სხვადასხვა ამხანაგობათა ჟურნალ-გაზეთებია, ხოლო საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებს საიმისო ბევრი არა მოემატებია-რა. საყურადღებოა ამასთანავე ის გარემოებაც, რომ მონარქიულ და რეაქციონერთა(?) ჟურნალ-გაზეთების რიცხვი თანდათან ძლიერ მცირდება—შარშან გამოდიოდა 503 და წრეულს-კი მხოლოდ 467-ღაა.

— საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის უკანასკნელს კრებას მუდმივმა მდივანმა ამ აკადემიისამ ბერტრანმა მოახსენა, ქ-ნმა გუსმანმა 100,000 ფრანკი შემოგვწირა იმ პირობით, რომ ეს ფული ჯილდოდ მიეცეს იმ მეცნიერთ, რომელნიც ღონის მიებას რასმე მოიგონებენ და დედამიწიდამ პლანეტა მარსამდე მიმოსვლას გამართამენო(?). ბერტრანმა ამასთანავე ისიცა სთქვა, რომ არ მინდოდა ამ ფულის მიღება და არც მივიღებდი, რომ შემომწირველს არ ეთქვა, ვიდრე ჩემი პირდაპირი პირობა ასრულდებოდეს(?), შეგიძლიანთ ამ ფულის სარგებელი ჯილდოდ აძლიოთ უკეთესს საასტრონომიო მთხზველთაო. ამის გამო, მგონია, სთქვა ბოლოს ბერტრანმა, რომ თქვენც არ იუარებთ და მიიღებთ ამ შემოწირულებასაო. აკადემიამ მიიღო ქ-ნის გუსმანის შეწირული 100,000 ფრანკი.

— ერთს ინგლისურს გაზეთში შემდეგი ამბავია მოთხრობილი: როდესაც გერმანიის იმპერატორი ინგლისში იყო, მის პატივსაცემლად საუზმე გამართეს გატფილდში, ქ-ნს ვადინგტონისას, მეუღლეს საფრანგეთის დესპანისას. საუზმის დროს ყელსაბამი გაეხსნა. იქვე მჯდომი დესპანი პორტუგალიისა დესოვერალი მივიდა ქალთან და ყელსაბამის შეკვრასა ჰშველოდა. ამაზედ იმპერატორმა ვილჰელმმა იოხუნჯა: „პორტუგალია საფრანგეთს არჩობსო". შემდეგ პრინცი უელსისა მიეშველა და ვილჰელმა კვლავ განაგრძო თავისი ოხუნჯობა; „დასე, ინგლისსაცა ჰსურს, რომ პორტუგალიამ საფრანგეთი დაარჩოსო".

---

ნათესაობა შენ არ გაცოცხლებსო... თამრო-კი მწარედ სტიროდა და გულზედ სევდა მორეული დუდუნებდა.

— მე ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან: მკლავენ ამდენი ცემით. ოღონდ მაგათ გამაშორე, ოღონდ შენთან ვიყო და თუნდა მშიერი მოვკვდე, არას ვინაღვლი!.. ყველა გაჭირვებას ავიტან შენთან, თუ არა და თავს მოვიკლამ: მე ჩვენებთან დარჩენა სიკვდილზედ მწარედ მიმაჩნია!..

ილოს გული აუღელდა.

— სამშაბათს, პირველ მამლის ყივილისას, მზად იყავ თქვენ ვენახის ბოლოს და იქ მოვალ. დღეს ხომ კვირაა, ჩემ ბიძასთან წავიდეთ სოფ. ნახიდურში, მერე, იქ რომ ჯვარს დავიწეროთ, ცოტა ხნობით ქალაქში ვიცხოვროთ, მანამ ხალხის ყაყანი გათავდებოდეს; მერე-კი შეიძლება ისევ ჩვენს სოფელში დავბრუნდეთ.

როცა კარგად დაბინდდა, ილო და თამრო გაშორდნენ ერთმანეთს. ნენე ჯავრით ცოტა შეუძლოდ დახვდა. საბრალო მოხუცებულს ის ფიქრი არ აძლევდა მოსვენებას, რომ ვაი თუ ეს ერთი სანთელი გამიქრონ თამროს ნათესავებმაო. შვილი სცდილობდა ენუგეშებინა:

— ნუ გეშინიან, დედა ჩემო, ეუბნებოდა: მე ერთის კვირით უნდა წავიდე ჩემს ბიძა გლახასთან და თამროც იქნება თან წავიყვანო. ჯვარის დაწერა საჭიროა, მეტი გზა აღარ არის...

ამ სიტყვამ საბრალო დედა უფრო შეაშფოთა. გამწარებულმა შემოიკრა თავში ხელი და მწარედ მორთო ტირილი:

— ამ სიბერის ჟამს სხვის დასამარხსა მხდი, შვილო! რაზედ მჭრი ძუძუებს? რა გინდა ჩემგან? შენი ტოლი არ გირჩევნიან: რა ჩვენი საქმეა აზნაურის ქალი! ხო არ გახეირებენ, და ვაი ჩემს დედობას ამ მოხუცებულობის დროსა!..

ილო ორწყალ შუა იყო: ცალკე დედის საცოდაობა სწვავდა, ცალკე კიდევ თამროსი. რომლისთვის მიეცა შვება—აღარ იცოდა. ბოლოს გადასწყვიტა, რომ თამრო უფრო შესაბრალისია, პირობა მივეცი და ავასრულებ კიდეცაო.

### III

ორშაბათს საღამომდე ილომ ყველა საქმე მოივარგიანა და დაემზადა დილაზედ წასასვლელად. შუა ღამე გადავიდა და სასცორაი ამოვიდა. „ხარი-პარია" ვარსკვლავმაც ამოაშუქა. ნიავი ნელ-ნელა დაიძრა მინდვრიდგან. ღამის მეხრეებმა იწყეს ხმაურობა. ტოროლამ ქალებში დაიფხრიალა და მოჰყვა საამურს ჭიკჭიკსა. მეხრეებმა უფრო გამოიფხიზლეს თავიანთ „მამლის" ძახილზედ. ცისკარი აღმობრწყინდა მთის კალთებიდგან.

ილო ახლა-კი დაიძრა თამროსკენ, რომელიც თავიანთ ვენახის ბოლოში მიცუცქული ელოდდა. სწორედ პირველი მამლის ყივილი იქნებოდა, როცა სოფლის ქვემოდ თამრო პატარა გამოკრულის ბოხჩითა და ილო კიდევ ხურჯინში ორის დღის საგზლით მიეშურებოდნენ გზაზედ. საგზალს შეადგენდა ნამტირალევ ნენეს გამომცხვარი პური. ვინ მოსთვლის, რამდენი ცრემლი დააფრქვია საბრალო ბებერმა ამ პურს... თამრო ისე გახარებული შეიქნა, რა-კი სოფელს კარგა გაშორდნენ, რომ თითქოს გალიაში დამწყვდეული ჩიტი გაუშვეს ტყე-ველად სანავარდოდაო.

სულ სხვა მდგომარეობაში იყო საბრალო ნენე: გათენების უმალვე მორთო ქვითინი, თითქოს ოჯახი დამხობია და მცხედარი წინ უძევსო...

სოფელში ჯერ ჩამი-ჩუმი არ იყო ილოსა და თამროს გაქცევის გამო. გლეხებმა კალოებზედ ძნები ჩაშალეს. ჩვეულებრივი ფაცა-ფუცი ასტყდა. ნენეს-კი კარშიაც არ გაუხედნია: იჯდა მარტო დარბაზში და მწარედ იმდუღრებოდა. სოფლის მანდილოსნებმა ნახირი გაურეკეს მწყემსებს. ცოტა ხნის შემდეგ სოფელში ილოს და თამროს გაპარვის ხმა გავარდა. ეს-ღა გახდა საჭორაო მანდილოსნებისა...

— ქა, გაიგეთ, რო ილო და თამრო გაქცეულან?—ამბობდა ერთი გაფითრებულის ტუჩებით.

— გენაცვალეთ, როგორ არ გავიგე. ჩყენმა ყმაწვილმა სთქვა—ჯერ მამალს არ ეყივლა, რომ ჰქალის ბოლოზე ჩაიარესო. ჩვენ, ბიჭებმა ყველამ ვიცანით ილოცა და თამროცაო, მაგრამ-კი არ დავხმაურებივართო! ასე სცემდა კვერს მეორე მანდილოსანიც, რომელსაც უხაროდა, რომ სალაყბო ამბავი გაუჩნდა.

ასეთის მუსაიფით შეიარეს სოფლის ორღობეები. ყველას ილო და თამრო ადგა ენაზე. ერთი ერთმანეთს აღარ აცლიდნენ.

— ქა, შენც გაიგე?—უი, გამოკლდეს ი თამრო, კაი აზნაურის ქალი ის გაეზარდა დედას!

— გეთაყვათ, იმას ისეთი ქარაფშუტა დედა ჰყავს, რომ ეგ დღე არა ასცდებოდა.

კაცებსაც მითქმა-მოთქმის და კილვის ქავილი გაუჩნდათ.

— ჰეი, ჰეი, დახე ილუას ამბავსა: აზნაურის ქალი არ მოიტაცა, ვეჟო!

— ეიბე, ეიბე, ე რა მოხდა, თქვენი ჭირიმე!! მეორედ მოსვლაა წორეთა, მა რა ჯანაბაა, კაცო!

ჩვენი ნაცნობი კიკოლა გაკვირვებული შევიდა ხელების ფშვნეტით ნენესთან და სანუგეშო ლაპარაკი დაუწყო, მაგრამ ნენე მაინც სტიროდა და მეტის სიმწარით ლოყებს იხოკდა. თამროს სახლობამ-კი წარბიც არ შეიხარა, ერთი უიც არა სთქვეს. ისინი მხოლოდ ამას ამბობდნენ—წასვლა იყოს და მოსვლა აღარაო...

—

გაიარა რამდენმამე ხანმა ილოს და თამროს გაქცევის შემდეგ. ნენე დარდმა და ნაღველმა შეიპყრო, ფიქრმა და სევდამ წელში მოჰხარა. შვილი გონებიდამ არ გაშორებია. ერთს დღეს კიკოლა გაჰგზავნა თავის ძმისას, ილოს ამბის შესატყობად. კიკოლამ-კი ვერაფერი ამბავი მოუტანა: გლახას ეთქვა, ჩემთან არ მოსულან, ქალაქში არიანო. ამის შეტყობა იყო და ნენეს ლოგინად ჩავარდნა. ოჯახმაც უკან დაიწია, თითქო ნენეს ავად მყოფობა იმასაც გადაედოო: საქონელი ზოგი დაიხოცა, ზოგი კიდევ უპატრონობით დაიკარგა..

ნენემ სწორედ ორი თვე იკვნესა და მესამე თვეს-კი თქვენი ჭირი წაიღო. დარჩა შვილის დაუტირებელი. თუმცა კიკოლამ კაი ამაგი დასდო და მართებულად დამარხა თავისი სვინა, მაგრამ შვილის ცრემლი არ დაიფრქვა მოამაგე ძუძუებზე. ნენეს დარბაზის კარი გამოიკეტა და ოჯახი მოისპო... მერცხლები თუ იკეთებენ გავერანებულს დარბაზის გვირგვინში ბუდეს...

ლ—ა ჩ—სა

# დეპეშა

31 აგვისტო

**ბათუმი.** დღეს, საღამოს 5 საათზედ, დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე ბორჯომს გაემგზავრა.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოს დღევანდელს კრებაზედ გადასწყვიტეს, რომ გრევი რესპუბლიკის ხარჯით დაასაფლაონ. დასაფლავების დროს მთავრობის წარმომადგენლებად იქნებიან: ფრეისინე, ფალლიერი და რუვიე, რომელნიც გრევის დროს მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტები იყვნენ.

**ათინა.** წარსულს ღამეს, კონცხს სუნიუმს ახლოს, საბერძნეთის ხომალდი იტალიისას დაეჯახა; იტალიის ხომალდი დაინთქა; მოგზაურნი და მსახურნი, 100 კაცამდე, ყველანი დაიღუპნენ. საბერძნეთის ხომალდი-კი ისე დაზიანდა, რომ იძულებულ იქმნა ფალერს ახლო შეჩერებულიყო თავთხელ ალაგას.

**კასსელი.** დღეს აქ იმპერატორი მობრძანდა. ნადიმის დროს იმპერატორმა სთქვა, რომ კვლავ ჩემს მამაპაპათა კვალს არ მოვცილდები და დარაჯად ვუდგები ერის კეთილდღეობის საქმეს; იმედი მაქვს, როგორც შინაურ, ისე გარეშე ბრძოლაში, თუ ასტყდა, ჰესსენის მკვიდრნი დამეხმარებიან, რომ შევასრულო ის ხელმწიფებრივი მოვალეობა, რომლისათვისაც მოწოდებულ ვარო.

**ვენა.** გუშინ, ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღის გამო, ჰალპოხში სადღესასწაულო სადილი იყო გამართული და დაესწრნენ ყველა იქ მყოფი ერცჰერცოგნი, ვენგრიის მინისტრები, გენერლობა და საზღვარ-გარეთის სამხედრო აგენტები. ყველა, ვისაც-კი რუსეთის ორდენი ჰქონდა, ამ ორდენებით იყვნენ. იმპერატორმა ჰიქა აიღო და შემდეგი სადღეგრძელო სთქვა: „ადღეგრძელოს ჩემი ძვირფასი მეგობარი, მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე!“ მუსიკამ დაუკრა რუსეთის საერო საგალობელი და ყველამ ფეხზედ დგომით მოისმინა. პოლკოვნიკი ზუევი და პორუჩიკი მიატლევი, რომელნიც იმპერატორის მიერ იყვნენ მოპატიჟებულნი და სადილს დაესწრნენ, ღამე უკანვე დაბრუნდნენ ვენაში.

**ოტტავა.** კანადის მთავრობამ აუწყა ხომალდების საზოგადოებათ, რომ თქვენს პასუხის-გებაზედ უნდა იყოს რუსეთიდგან მოსულ და ყოველსავე შეძლებას მოკლებულ ებრაელების შენახვაო; ამ კვირიასაც მოვიდნენ კანადაში ებრაელნი, რომელთაც ცალი ფული არ მოეძევებათ.

1 სექტემბერი

**პეტერბურგი.** „წითელის ჯვრის“ საზოგადოების ყველა დაწესებულებაში ხელის-მოწერით შემწეობასა ჰკრეფენ მოუსავლობით დაზარალებულთათვის. შესაწევართა მოკრეფამდე უმთავრესმა გამგეობამ საზოგადოებისამ თავისის თანხიდგან გადასდო 165,000 მან. და ადგილობრივ დაწესებულებათაც შეუკვეთა, რომ თქვენც გადასდეთ ფული ამ საგნისათვის შეძლებისადა გვარადო.

გუშინ, უწ. სინოდის შენობაში, ნარვის ეპისკოპოსის ნიკანდრის თავმჯდომარეობით, პირველი კრება ჰქონდა მოუსავლობით დაზარალებულთა სასარგებლოდ შემწეობის მკრეფავთა კომიტეტს. ჯერ-ჯერობით შეკრეფილია 25 ტომარა ფქვილი და ფულადაც 4,700 მან. კომიტეტმა რამდენიმე რამ დაადგინა და ეს დადგენილებანი დღეს იქმნება წაკითხული ყველა ეკკლესიაში.

**კიევი.** კიევის სამხედრო სასამართლოში 27—29 აგვისტოს გაარჩიეს საქმე ავსტრიელ ვაჭრის ერაზმ კრასნიცკისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ქრთამების ძლევა, უფროსის ხარისხის გადამწერელისა მე-II არმეისკი კორპუსში ფელიციან ტუჩინსკისა და სხვათა, რომელთაც ჰბრალდებოდათ ღალატი სახელმწიფოსი და სხვა ამაზე მცირე დანაშაულობანი. სასამართლომ დაამტკიცა: კრასნიცკი იმაშია დამნაშავე რომ სამსახურის კაცებს ქრთამს აძლევდა და მით ქაღალდებს აპარვინებდა სხვა-და-სხვა დაწესებულებიდამაო, საქონლის ფერშალი პესჩონსკი იმაშია დამნაშავე, რომ კრასნიცკის დახმარებას უწევდა და სახელმწიფოს ღალატში ჩადგა, ხოლო ჯარის კაცი ხარჩენკო და ტუჩინსკი იმაში არიან დამნაშავენი, რომ ქრთამებს იღებდნენ და სახელმწიფოს ღალატში ჩადგნენ ისეთს გარემოებაში, რომელიც აორკეცებს იმათის დანაშაულის სიმძიმეს. სასამართლომ გადუწყვიტა ოთხსავე ბრალდებულს ჩამორთმევა ყოვლის უფლებისა და ციმბირს გაგზავნა—კრასნიცკის არა შორეულ ალაგს, ხოლო დანარჩენი რვა წლობით კატორგაში.

2 სექტემბერი

**პეტერბურგი.** უმთავრესნი მოგებანი მეორე შინაგან სესხისა დღევანდელს ტირაჟში ჰხვდა შემდეგს ბილეთებს:

| №№ სერიისა. | №№ ბილეთ. | მოგება |
|---|---|---|
| 4,056 | 50 | 200,000 |
| 10,135 | 14 | 75,000 |
| 9,080 | 24 | 40,000 |
| 6,318 | 31 | 25,000 |
| 14,791 | 5 | 10,000 |
| 14,579 | 6 | 10,000 |
| 1,910 | 41 | 10,000 |
| 1,019 | 42 | 8,000 |
| 13,118 | 39 | 8,000 |
| 9,221 | 42 | 8,000 |
| 17,141 | 46 | 8,000 |
| 14,346 | 46 | 8,000 |
| 18,981 | 30 | 5,000 |
| 7,111 | 25 | 5,000 |
| 306 | 1 | 5,000 |
| 19,441 | 28 | 5,000 |
| 19,491 | 15 | 5,000 |
| 16,523 | 20 | 5,000 |
| 3,765 | 8 | 5,000 |
| 19,599 | 48 | 5,000 |
| 15,050 | 25 | 1,000 |
| 13,541 | 39 | 1,000 |
| 11,497 | 2 | 1,000 |
| 10,654 | 26 | 1,000 |
| 2,871 | 39 | 1,000 |
| 10,310 | 23 | 1,000 |
| 11,657 | 40 | 1,000 |
| 1,765 | 36 | 1,000 |
| 784 | 3 | 1,000 |
| 17,465 | 36 | 1,000 |
| 784 | 32 | 1,000 |
| 3,649 | 38 | 1,000 |
| 6,816 | 40 | 1,090 |
| 5,373 | 1 | 1,000 |
| 2,819 | 37 | 1,000 |
| 6,216 | 26 | 1,000 |
| 8,933 | 10 | 1,000 |
| 10,019 | 28 | 1,000 |
| 9,919 | 28 | 1,000 |
| 4,297 | 30 | 1,000 |

### პეტერბურგის ბირჟა, 31 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 53 | 7, 58 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 1/2 | 151 1/2 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 14 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 238 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 229 1/4 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | — ,, | — ,, | — ,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

გრ. ჩარკვიანის

**სტამბა და წიგნთ საწყობი**

გადავიდა

მიხეილის ქუჩაზე, მედვედევის სახლებში, პერმიკინის გვერდზე.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება

გრ. ჩარკვიანის

სტამბასა და წიგნთ საწყობში

## დემონი

პოემა

მ. ლერმონტოვისა

თარგმანი

მამია გურიელისა (ფაზელი)

ფასი 15 კაპ.

(3—0—1)

---

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| პატიოსანი ადამიანი . . | „ | 5 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი. . . . . | „ | 30 |
| სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა. . . . . | „ | 20 |
| ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა . . . . . | „ | 25 |
| იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი,** ისტორიული პოემა აკაკისა . . | 1 | „ |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 25,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 70,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ''.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


## ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. ალნიაშვილის მიერ, . | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . . | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . . | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . . . . . . . | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. . | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . . . | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. . | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე . . . . . . . . | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა . . . . | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჰიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. . . . . . . | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. . . . . | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა . . . . . | „ | 20 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 2-го Сентября 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.